განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის
რეგლამენტის პროექტზე

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა). ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ის რომ თუ კი პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის მიზანშეწონილების საკითხს წყვეტს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, მიზანშეწონილია საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებაც მიღებულ იქნეს ამავე ხმების რაოდენობით. ასევე იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი მხარს არ დაუჭერს დადგენილების პროექტს კომისიის შექმნის თაობაზე, მიუხედავად იმისა რომ პარლამენტმა მხარი დაუჭირა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხს, წევრთა არდამტკიცების შემთხვევაში საგამოძიებო კომისია ვერ იქმნება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ის რომ თუ პარლამენტი მხარს დაუჭერს დროებითი საგამოძიებო კომისიის მიზანშეწონილობის საკითხს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას და დამოუკიდებელ პარლამენტის წევრებს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების ჩავარდნის შემთხვევაში შესაძლებლობა ქონდეთ განმეორებით წარმოადგინონ კომისიის წევრთა კანდიდატურები საგამოძიებო კომისიის შექნისათვის საჭირო სხვა პროცედურების ხელახლა დაწყების გარეშე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის არსს წარმოადგენს ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას და დამოუკიდებელ პარლამენტის წევრებს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების ჩავარდნის შემთხვევაში შესაძლებლობა ქონდეთ განმეორებით, წარმოადგინონ კომისიის წევრთა კანდიდატურები საგამოძიებო კომისიის შექნისათვის საჭირო სხვა პროცედურების ხელახლა დაწყების გარეშე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.
ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტი არ აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას.
ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.
გ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.
გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.
გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.
დ). კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.
დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.
ე) კანონპროექტის ავტორი:
პარლამენტის წევრები - ჩიორა თაქთაქიშვილი, სერგო რატიანი
ვ). კანონპროექტის ინიციატორი:
პარლამენტის წევრები - ჩიორა თაქთაქიშვილი, სერგო რატიანი